საერთაშორისო კლასტერების ჩამოყალიბება როგორც ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი[1]

ბადრი გეჩბაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ თანამედროვე კონცეფციას წარმოადგენს კლასტერული. ის ეყრდნობა ქვეყანაში კლასტერების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო სტიმულირებას. საზღვარგარეთის გამოცდილება მოწმობს, კლასტერული პოლიტიკის ეფექტიანობასა და მის დადებით გავლენას ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეზე. მსოფლიოს ინტეგრაციული პროცესები ქმნის წინაპირობებს საერთაშორისო კლასტერების ჩამოსაყალიბებლად ტრანსსასაზღვრო ფორმებში, მეზობელი სახელმწიფოების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კონკურენტუნარიანობის ანალიზი. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (მეფ) გამოაქვეყნა მსოფლიოს 144 ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის მორიგი რეიტინგი (Global Competitiveness Index - GCI 2012-2013). მეფ-ის მოხსენება გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ "ეკონომიკის აღდგენის პროცესის განმტკიცება წარმადობის გაზრდის გზით" წარმოადგენს მსოფლიოში ამ თემატიკის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ გამოკვლევას. შეგროვებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, შეფასდეს ეკონომიკური გარემოსა და საქმიანი კლიმატის ხარისხი ძირითად კონკურენტებთან შედარებით. 2010-2011 წწ. შედეგების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, 2011-2012 წწ. იანვარ-ივნისში ბიზნეს-ლიდერების გამოკითხვის მონაცემთა გათვალისწინებით, მეფ-მა განსაზღვრა კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index-GCI) 110 პარამეტრის მიხედვით.

2012-2013 წწ. გლობალური კონკურენტუნარიანობის საერთო ინდექსმა ყოფილი სსრკ ქვეყნებში შეადგინა: ესტონეთი – 4,61 (33-ე ადგილი); ლიტვა – 4,38 (47-ე ადგილი); რუსეთი – 4,24 (63-ე ადგილი); ლატვია – 4,14 (70-ე ადგილი); ყაზახეთი – 4,12 (72-ე ადგილი); უკრაინა – 3,90 (89-ე ადგილი); საქართველო – 3,86 (93-ე ადგილი); მოლდავეთი – 3,86 (94-ე ადგილი); სომხეთი – 3,76 (98-ე ადგილი) [1].

საერთაშორისო კლასტერები წარმოადგენენ: 1) ტრანსსასაზღვრო რეგიონში გეოგრაფიულად თავმოყრილი სხვადასხვა სახელმწიფოების რეზიდენტ მიმწოდებელთა, მწარმოებელთა და მყიდველთა ქსელურ გაერთიანებებს (ტრანსსასაზღვრო კლასტერი); 2) ეროვნულ კლასტერთა საერთაშორისო ქსელებს (ტრანსეროვნული კლასტერი), რომლებიც თანამშრომლობენ და კონკურირებენ, გადაბმულნი არიან ტექნოლოგიურ ჯაჭვებად და ავსებენ ერთმანეთს, თანამშრომლობენ ტრანსსასაზღვრო დაწესებულებებთან (მათ შორის სამეცნიერო, საგან-

[1] სტატია იბეჭდება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა იგი არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს). გრანტის ნომერი: PG/27/2-230/12

მანათლებლო, ბიზნეს-ინფრასტრუქტურებთან), სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მართვის ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კლასტერის სუბიექტებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. ზოგადი სახით საერთაშორისო კლასტერის შემადგენლობა გვესახება შემდეგნაირად (ნახ. 1):



ნახ. 1. საერთაშორისო კლასტერის შემადგენლობა

საერთაშორისო კლასტერები დაიყოფა ტრანსსასაზღვრო და ტრანსეროვნულ კლასტერებად.

ტრანსსასაზღვრო კლასტერი არის დამოუკიდებელი კომპანიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ტრანსსასაღვრო თანამშრომლობის სხვა სუბიექტთა გაერთიანება, რომლებიც გეოგრაფიულად თავმოყრილია ტრანსსასაზღვრო რეგიონში (სივრცეში).

ტრანსეროვნული კლასტერი არის კლასტერთა ქსელების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთს უცვლიან სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების შედეგების ნაწილს, იყენებენ ქსელურ ეფექტს და ეკონომიას მასშტაბზე პროდუქციის გასავრცელებლად ახალ ბაზრებზე.

ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო კლასტერების შედეგები:

- მინის კლასტერი ზემო ავსტრიაში, ბავარიაში (გერმანია) და ბოჰემიაში (ჩეხეთი);
- საფეიქრო კლასტერი ქვემო ავსტრიასა და ბოჰემიაში;
- ჩარხმშენებელი კლასტერი შტირიაში (ავსტრია) და სლოვენიაში;
- ბიოტექნოლოგიური კლასტერები ერესუნი (დანია-შვედეთი), "ბიო-ველი" (გერმანია-შვეიცარია-საფრანგეთი), ტვენტე (ნიდერლანდები-გერმანია);
- საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო კლასტერი "დომელის ველი" (ბელგია-ნიდერლანდები);
- კონსალტინგური კლასტერი ვენლო (ნიდერლანდები-გერმანია).

ტრანსეროვნული კლასტერის მაგალითი:

საფრანგეთის ფარმაცევტული კლასტერი, რომელიც ლუი პასტერის უნივერსიტეტის გავლით ახორციელებს თანამშრომლობას მონრეალში მოქმედ კანადურ კლასტერთან "In vivo". ასეთი თანამშრომლობის მიზანია აღნიშნული კლასტერების კომპანიებისათვის გასაღების პერსპექტიული ბაზრების მოძიება ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში.

საერთაშორისო კლასტერების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კლასტერის სუბიექტები არიან სხვადასხვა სახელმწიფოების რეზიდენტები; შეკრულია ტექნოლოგიურ ჯაჭვებად და ურთიერთ ავსებენ ერთმანეთს; ერთდროულად თანამშრომლობენ და კონკურირებენ.

კლასტერები ხშირად ერევათ სხვადასხვა ფორმის გაერთიანებებში, მაგალითად, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში, ჰოლდინგებში, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებში, მარკეტინგულ სამომხმარებლო ქსელებში, კონცერნებში.

საქონელმწარმოებელთა კლასტერს აქვს შემდეგი ***ნიშნები***, რომლებიც მას განასხვავებს

სხვა სტრუქტურებისაგან:

- ლოკალიზაცია ერთ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე;
- ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირებით გაერთიანებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი დაწესებულებების აგლომერაცია;
- "საკვანძო" პროდუქტის წარმოება (პროდუქტი, რომელსაც უკავია უდიდესი წილი კლასტერის წარმოების მოცულობაში და რომლითაც განისაზღვრება კლასტერის სახელწოდება);
- სუბიექტთა კომპლემენტარულობა (ე.ი. შევსებადობა და საწარმოო ჯაჭვის შექმნა);
- დასრულებული საწარმოო ციკლის საწარმოთა გაერთიანება (ნედლეულის წარმოებიდან მზა პროდუქციის გასაღებამდე);
- კლასტერის წევრებს შორის კონკურენციისა და კოოპერაციის ურთიერთობათა არსებობა;
- თანამშრომლობა საერთო მიზნების სფეროში.

კლასტერში ურთიერთკავშირების განვითარება (ლოკალიზაციისა და აგლომერაციის წყალობით) ქმნის კლასტერების *კონკურენტულ უპირატესობათა წყაროს – თანამშრომლობას*, რომელიც ეყრდნობა ხანგრძლივ ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებს და იყოფა ორ სახეობად: ქსელური თანამშრომლობა და სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა (სკთ).

ტერმინი ***ქსელური თანამშრომლობა*** გულისხმობს ხანგრძლივი ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების დამყარების პროცესი კლასტერის სუბიექტებს შორის, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ტექნოლოგიურ ჯაჭვში ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირებით. ეს ურთიერთობები ეყრდნობა კლასტერისათვის საერთო მიზნებს, ნორმებს, ტრადიციებს, წესებს, ჩვეულებებს. ქსელური თანამშრომლობა განსხვავდება საწარმოო კოოპერაციის (მათ შორის კვაზიინტეგრაციის) ურთიერთობებისაგან იმით, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ვერტიკალურ კავშირებს (მიმწოდებელი – მყიდველი), არამედ ჰორიზონტალურსაც, ანუ თანამშრომლობას კონკურენტებთან საერთო ინტერესების სფეროში (მიმწოდებელთა ტექნიკური განვითარება, საინვესტიციო საქმიანობა, განათლება, მარკეტინგული კვლევები და გასაღება, დაცვა გარეშე კონკურენტებისაგან და სხვ.) და თანამშრომლობას ბიზნეს-მომსახურების დაწესებულებებთან (განათლება, მარკეტინგი, მეცნიერული კვლევები).

თანამშრომლობის ნაირსახეობა არის ***სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (სკპ),*** რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციონალურ და საორგანიზაციო ალიანსს სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და ბიზნესს შორის, დამყარებულს პროექტების ერთობლივ დაფინანსებაზე, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოსა და ბიზნესის შეთანხმებას ინოვაციურ განვითარებაში, საინვესტიციო რესურსების გაზრდას, ეროვნული და რეგიონული დონის რიგი ამოცანების გადაჭრას იმავდროულად საბიუჯეტო ხარჯების შემცირებისას.

ქსელური თანამშრომლობა და სკპ ქმნის კონკურენტული უპირატესობების ფაქტორებს, რომლებიც იზრდება კლასტერში სინერგიული ეფექტის წყალობით. შედეგად ხდება ეკონომიკური სისტემის თვითორგანიზება, თუმცა მის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა საქმიანი თანამეგობრობის შექმნა არაკომერციული ორგანიზაციის სახით, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს ურთიერთობის დასამყარებლად სუბიექტთა შემდეგ ჯგუფებთან: პარტნიორებთან, კონკურენტებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, უცხოელ ინვესტორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს იურიდიული ორგანიზაცია წარმოადგენს სამართლის სუბიექტს შესაბამისი კლასტერული პილიტიკის სარეალიზაციოდ.

კლასტერში გაერთიანება უპირატესობებს ქმნის როგორც თავად კლასტერის სუბიექტებს, ისე მთლიანად რეგიონული და ეროვნული ეკონომიკისათვის. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს კლასტერების როლს რეგიონული და ეროვნული ეკონომიკების განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1. *კლასტერები ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას,* ხოლო ინოვაციები წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. ეს ხდება შემდეგი ფაქტორების ხარჯზე:

- კლასტერებში კომერციული და საწარმოო ხასიათის ცოდნის დაგროვება და მისი სწრაფი დიფუზია;
- ინოვაციების შექმნა კლასტერის მწარმოებლებს შორის თანამშრომლობის წყალობით;
- ინოვაციების დანერგვის დაჩქარება მიმწოდებლებსა და მწარმოებლებს შორის თანამშრომლობის შედეგად;
- სიახლეების შეძენა საერთაშორისო ტექნოლოგიური თანამშრომლობის ფარგლებში (ერთობლივი და ფრანჩაიზინგული საწარმოები).

2. *კლასტერები ხელს უწყობს მშპ/მრპ-სა და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსვლების ზრდას* შემდეგი ფაქტორების შედეგად:

- კლასტერის წევრებთან ერთობლივი

ინვესტიციები, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;

➢ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების მოზიდვა ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების ფარგლებში;

➢ კლასტერის მონაწილეების ურთიერთდაკრედიტება, აგრეთვე ურთიერთ გარანტიები და თავდებობა მდგრადი გრძელვადიანი კოოპერაციული კავშირების შემთხვევაში. კლასტერის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ არა მხოლოდ სამრეწველო საწარმოები, არამედ საფინანსო და საინვესტიციო კომპანიებიც, მათ შორის სპეციალიზებილი საინვესტიციო ბანკები და ლიზინგური კომპანიები.

3. *კლასტერები ასტიმულირებენ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას*:

➢ აუტსორსინგის ურთიერთობათა ჩამოყალიბების ხარჯზე, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან პროდუქციას, ასრულებენ სამუშაოებსა და ეწევიან მომსახურებას კლასტერების საკვანძო სუბიექტებისათვის;

➢ მეწარმეობის ახალი ზონების გახსნის ხარჯზე კლასტების საწარმოო ჯაჭვში (ღირებულებათა ჯაჭვში).

4. ექსპორტის ზრდა კლასტერში უზრუნველყოფილია:

➢ კლასტერის სუბიექტებთან ერთობლივი მარკეტინგული პროგრამებით ბაზრების კვლევის, ბაზრების სეგმენტებში პოზიციონირების თემაზე;

➢ საგარეო ბაზრებზე წინ წაწევისა და გასაღების ერთობლივი პროგრამებით (ერთობლივი წარმომადგენლობების, სავაჭრო სახლების, ლოგისტიკური ცენტრების შექმნა);

➢ კოოპერაციის პროცესის ყველა მონაწილის მიერ ცნობილი ბრენდის უპირატესობების გამოყენებით.

5. *დასაქმების გაზრდა, რეგიონული წარმოების შემოსავლიანობის მომატება* კლასტერების ორგანიზების შედეგად ხდება შემდეგი ფაქტორების ხარჯზე:

➢ ბიზნესის ახალი სუბიექტების შექმნა კონკურენციის ზემოქმედების შედეგად სპეციალიზაციის გაღრმავებაზე, ახალი ნიშების შექმნასა და კლასტერის გაფართოებაზე;

➢ ტექნოლოგიურ ჯაჭვში ნაკლული წარმოებების შექმნა იმპორტჩანაცვლების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროგრამების ფარგლებში.

6. *კლასტერები ხელს უწყობს საზღვრისპირა ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებას* შემდეგი მექანიზმების მეშვეობით:

➢ კლასტერების საზღვრისპირა თანამშრომლობის უზრუნველყოფა ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროში;

➢ კლასტერის არსებობა ზრდის რეგიონული ადმინისტრაციების როლს, ვინაიდან განავითარებს და განამტკიცებს მათი რეგიონის ეკონომიკას, ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და აჩქარებს სოციალური პრობლემების გადაჭრას, პირობებს ქმნის უფრო ჩამორჩენილი ტერიტორიების წარმატებული განვითარებისათვის;

➢ კლასტერში იქმნება დადებითი ეფექტები (ექსტერნალიები), როდესაც კლასტერის ერთი სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური უპირატესობები გადაეცემა სხვა მონაწილეებს. კლასტერში შესვლა ზრდის მასში შემავალი კომპანიების სტატუსს, ხელს უწყობს მათ მიმართ საფინანსო სააგენტოების მხრიდან ყურადღების ზრდას, მათი საერთაშორისო რეპუტაციის გაუმჯობესებასა და სავაჭრო მარკის პოპულარობის მატებას, რეგიონში იზიდავს დამატებით რესურსებს.

ამრიგად, საქონლის მწარმოებელთა კლასტერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც მათი წევრი საწარმოებისათვის, ისე მთლიანად ეკონომიკისათვის. კლასტერული კონცეფციის გამოსაყენებლად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში თავს იჩენს კლასტერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებების დასაბუთების აუცილებლობა.

საერთაშორისო პროცესებმა და ინსტიტუციონალური გარემოს განვითარებამ განაპირობა ევრორეგიონების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა ტრანსსასაზღვრო კლასტერების ჩამოყალიბებაში, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისა და სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტს.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური შევსება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა პროპორციებში. ეს შეიძლება იყოს როგორც საბიუჯეტო სახსრები – ევროკავშირისა, ასევე ევრაზიული კავშირისა, იმ სახელმწიფოთა სახსრები, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია ევრორეგიონები, რეგიონებისა და ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის ტერიტორიებისა; ისე არასაბიუჯეტო სახსრები – სხვადასხვა ფონდების, საფინანსო ორგანიზაციების, საწარმოებისა და მეწარმეების მოზიდული სახსრები.

კლასტერიზაციის უცხოური გამოცდილებისა და მეზობელი სახელმწიფოების გარემოში ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით, შემოთავაზებულია საქართველოს, აზერნაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკებში კლასტერების ორგანიზებისა და განვითარების შემდეგი მიმართულებები.

კლასტერების ფორმირების საორგანიზაციო-სამართლებრივი უზრუნველყოფა:

- მეთოდური და პრაქტიკული მასალების შემუშავება კლასტერების შესაქმნელად რეგიონის ხელმძღვანელებისა და მეწარმეების დასახმარებლად;
- საზოგადოებაში კლასტერების შექმნასთან დაკავშირებული იდეებისა და უპირატესობების პროპაგანდა. ხელისუფლების წარმომადგენლების, საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მომზადება სემინარების, მრგვალი მაგიდების, სამუშაო ჯგუფების, კონფერენციების მომზადება კლასტერული ინიციატივების განვითარების მიზნით;
- იმ სპეციალისტთა შერჩევა და სწავლება, რომლებიც მოწოდებულნი არიან კლასტერების იდეების გასავრცელებლად;
- რეგიონში კლასტერების იდენტიფიკაცია, მათი კონკურენტუნარიანობის ანალიზი;
- კლასტერული პროექტების შემუშავება და რეალიზება;
- სახელმწიფო მხარდაჭერის მქონე კლასტერების საქმიანობის მონიტორინგი;
- "სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის შესახებ" კანონის მიღება.

კლასტერული ინიციატივების სტიმულირების ეკონომიკური მექანიზმი:

- რეგიონში კლასტერული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შექმნის დაფინანსება, მათ შორის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პირობებზე (კლასტერული ინიციატივების ცენტრები, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ცენტრები, სამრეწველო ასოციაციები და სხვ.);
- საინვესტიციო კლასტერული პროექტების საკონკურსო დაფინანსება (მაგალითად, მიმწოდებელთა ტექნიკური განვითარება, საგანმანათლებლო პროექტები, საზღვარგარეთ საქონელგამტარი ქსელების შექმნის პროექტები და სხვ.);
- კლასტერების განვითარებაზე მიმართული საინვესტიციო პროექტებისათვის შეღავათიანი კრედიტების და/ან გარანტიების გაცემა;
- გრანტების გაცემა კლასტერის სუბიექტების სწავლებისათვის.

საერთაშორისო კლასტერების წინ წაწევის ფორმები:

- ინტერნეტი;
- სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები;
- საერთაშორისო კონფერენციები;
- მოლაპარაკებები უცხოელ ინვესტორებთან და საერთაშორისო დონორებთან;
- საინვესტიციო ფორუმებთან;
- კლასტერებს შორის კონკურსის ჩატარება და საუკეთესი კლასტერისათვის ყოველწლიური ჯილდოს დაწესება და სხვ.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო კლასტერების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მეზობელი სახელმწიფოების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმებულობის უზრუნველყოფის ხარჯზე; კლასტერების ფარგლებში ახალი ბიზნესების ორგანიზების ხარჯზე, აგრეთვე მეცნიერებისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის რეალიზების წყალობით. საერთაშორისო კლასტერები უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყნებში ექსპორტის ზრდას მესამე ქვეყნებში მარკეტინგისა და პროდუქციის გასაღების ერთობლივი პროგრამების რეალიზების მეშვეობით; ააქტიურებენ საინოვაციო-საინვესტიციო საქმიანობას კლასტერების ერთობლივი საინვესტიციო პროექტების შედეგად სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ფარგლებში; აძლიერებენ საქმიან აქტივობას ტრანსსასაზღვრო რეგიონებში კლასტერების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამების რეალიზების მეშვეობით.

საერთაშორისო კლასტერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის გამოსაყენებელია ევრორეგიონების პოტენციალი და განსავითარებელია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკებში კლასტერიზაციის პროცესების სტიმულირების მექანიზმები, კლასტერების ინსტიტუციონალური, საორგანიზაციო-სამართლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფის შემოთავაზებული მეთოდებისა და საერთაშორისო კლასტერების წინ წაწევის ფორმების ჩათვლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გეჩბაია. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ზოგადი მიმოხილვა (თეორიული ასპექტები), მონოგრაფია. ბათ., 2013 წ. გვ., 10-14.
2. ბ. გეჩბაია, ნ. ფუტკარაძე. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა და პერსპექტივა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები IV. 2012 წ. გვ., 110-112
3. გ. ყუფუნია. კომპრომისების შესაძლებლობები და მნიშვნელობა ინტეგრაციისათვის ცენტრალურ კავკასიაში. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XVI–XVII, 2012 წ. გვ., 40-45.
4. The Global Competitiveness report 2010–2011, 2011-2012, 2012-2013: Word Economic Forum. 2012. – http://www.weforum.org.
5. Поболь А.И. Экономический потенциал инновационного развития стран в интеграционных процессах СНГ, ЕврАзЭС и ЕЭП / А.И. Поболь // Евразийская экономическая интеграция. –2012. – №1(14) – С.59-76.
6. Романчук Я. Беларусь теряет конкурентоспособность / НИЦ Мизеса АЦ «Стратегия». 2012. - http:// www.research.by.
7. Яшева Г. А. Кластерная концепция повышения конкурентоспособности предприятий в контексте сетевого сотрудничества и государственно-частного партнерства: монография. – Витебск : УО «ВГТУ», 2010. – 373 с.

ФОРМИРОВАНИЕ МЕЖДУНАРОДНЫХ КЛАСТЕРОВ КАК ФАКТОР ПОВЫШЕНИЯ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ЭКОНОМИК СТРАН ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

БАДРИ ГЕЧБАИЯ – Асоц. профессор

В статье проанализирован конкурентоспособность государств центрального Кавказа Грузии, Азербайджана и Армении. проведенное исследование показало, что формирование международных кластеров будет способствовать повышению конкурентоспособности союзных государств – Грузии, Азербайджана и Армении за счет развития предпринимательства и обеспечения занятости; организации новых бизнесов в рамках кластеров, а также благодаря реализации сотрудничества в сфере науки и образования. Международные кластеры обеспечат рост экспорта в наших странах посредством реализации совместных программ маркетинга и сбыта продукции в третьих странах; активизируют инновационно-инвестиционную деятельность в результате совместных инвестиционных проектов кластеров в рамках государственно-частного партнерства, привлечения иностранных инвестиций; активизируют деловую активность в трансграничных регионах посредством реализации программ трансграничного сотрудничества кластеров.